ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

რატი მექვაბიშვილი

სახელმწიფო ინსტიტუტების როლი პროსოციალური ქცევის და ეფექტიანი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირებაში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2021

ნაშრომი შესრულებულია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნეს ფაკულტეტზე, თეორიული ეკონომიკის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

მარინე ნაცვალაძე
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

კრის სტარმერი
პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი
ნოტინგემის უნივერსიტეტი,
ეკონომიკის ფაკულტეტი

ოფიციალური შემფასებლები:

ქუჯი ბიჭია
ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი
ევროპის უნივერსიტეტი

ავთანდილ სულაბერიძე
პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
დემოგრაფიის და სოციოლოგის ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება: 2021 წლის 13 ოქტომბერს 15:00 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0186, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. #2, თსუ X კორპუსი, აუდიტორია #206

სწავლული მდივანი
ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე

შინაარსი

საკვლევი თემის აქტუალურობა 4

კვლევის მიზანები 9

კვლევის ამოცანები 9

კვლევის საგანი და ობიექტი 10

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები 10

კვლევის მეცნიერული სიახლე 14

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა 15

ნაშრომის აპრობაცია 16

ნაშრომის მოცულობა 16

ნაშრომის სტრუქტურა 16

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი 18

დასკვნები და რეკომენდაციები 27

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები 30

საკვლევი თემის აქტუალურობა: ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის პარადიგმაში, Homo Economicus-ის ეგოისტური და რაციონალური ქცევა მისი სუბსტანციური თვისებაა. Homo Economicus-ის ტიპის ეკონომიკურ აგენტთა და ინდივიდთა ეკონომიკური ურთიერთქმედება სრული კონკურენციის და სრული კონტრაქტების პირობებში ხორციელდება. ასეთი ტიპის ეკონომიკურ ინდივიდს მხოლოდ პირადი ინტერესი ამოძრავებს და მისთვის უცხოა სხვის კეთილდღეობაზე ზრუნვა. საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების სოციალური დილემაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს დაპირისპირება პირად ინტერესსა და საზოგადო ინტერესს შორის. ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის პარადიგმაში საზოგადოებრივი დოვლათი საკმარისი რაოდენობით ვერ იწარმოება სწორედ

ეკონომიკურ ინდივიდთა ეგოისტური და ოპორტუნისტული ინტერესებიდან გამომდინარე, რასაც საბოლოოდ მივყავართ ბაზრის ჩავარდნამდე.[1]

რეალურ ცხოვრებაში ხშირად ვხედავთ ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის მოძღვრების საპირისპირო ქცევის მაგალითებს, როდესაც ადამიანები არ არიან სრული ეგოისტები და ზრუნავენ სხვების კეთილდღეობაზე, თანამშრომლობენ, გააჩნიათ ურთიერთნდობა, ეწევიან ქველმოქმედებას, არ მოსწონთ უსამართლობა, მზად არიან საკუთარი ხარჯებით დასაჯონ ოპორტუნისტი ინდივიდი და ა.შ. ასეთი ტიპის სოციალურ ქცევას პროსოციალური ქცევა ეწოდა. რეალურ ცხოვრებაში ასევე ვხედავთ, რომ სავაჭრო, შრომითი და ყველა სხვა ეკონომიკური ხელშეკრულება, არასრული ხელშეკრულებებია. ამრიგად, ყველა ეკონომიკურ ურთიერთქმედებაში ყოველთვის არსებობს რისკი, რომ ერთი მხარე ოპორტუნისტულად მოიქცეს და მხარეთათვის ურთიერთსასარგებლო ერთობლივი კეთილდღეობის წონასწორობის წერტილი მიუღწეველი დარჩეს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უცნობ ინდივიდთა შორის ფართომაშტაბიანი თანამშრომლობის ფენომენი თანამედროვე მეცნიერებამ ოცდახუთ ყველაზე გამოუკვლევ საკითხთა ნუსხაში შეიყვანა.[2] ეკონომიკურ ურთიერთობებში ინდივიდთა შორის პროსოციალურობას და პირველ რიგში, თანამშრომლობას და ნდობას, დიდი ყურადღება დაეთმო ეკონომისტთა მხრიდან სწორედ მათი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფუნქციის გამო. ცნობილი ეკონომისტი და ნობელის პრემიის მფლობელი კენეტ ეროუ სწორედ იმაზე მიუთითებდა, რომ თითქმის ყველა ეკონომიკურ ურთიერთობას თანამშრომლობა და ნდობა უდევს საფუძვლად, რომელსაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფუნქცია გააჩნია.[3][4] კერძოდ, ეკონომიკურ ურთიერთობებში ინდივიდთა შორის ნდობის არსებობით მცირდება ტრანზაქციული დანახარჯები და შექმნილი დადებითი გარეგანი ეფექტი ეკონომიკურ სისტემას მეტ ღირებულებას სძენს. ინდივითა შორის არსებული ნდობა ამცირებს ოპორტუნისტული ქცევის რისკების დაზღვევით გამოწვეულ დანახარჯებს

[1] Samuelson, Paul A. "The Pure Theory of Public Expenditure." *The Review of Economics and Statistics*, (1954): 387-389.

[2] Kennedy, Donald and Colin, Norman. "What Don't We Know," *Science* 309, no. 5731 (2005):75.

[3] Arrow, Kenneth. *The Limits of Organization*. (New York: Norton, 1974)

[4] Arrow, Kenneth. "The Economy of Trust." *Religion and Liberty* 16, no. 3 (2006): 3,12-13.

და ზრდის თანამშრომლობის შესაძლებლობას. მრავალ უცნობ ეკონომიკურ ინდივიდთა თანამშრომლობის გარეშე კი შეუძლებელია საკმარისი რაოდენობით საზოგადოებრივი დოვლათის მიღება, ისეთი როგორიც არის განათლება, მეცნიერება, ინოვაცია, სუფთა გარემო, ჯანდაცვა, თავდაცვა და სხვ. მაგრამ როგორ გადაიჭრას სოციალური დილემა და როგორ გადაილახოს თანამშრომლობის ხელისშემშლელი ოპორტუნიზმის ფაქტორი?

აღნიშნულ პრობლემატიკას არაერთი ეკონომიკური ექსპერიმენტული კვლევა მიეძღვნა. სოციალური დილემის პირობებში ორზე მეტ ინდივიდთა შორის თანამშრომლობის შესწავლის მიზნით, ექსპერიმენტულ ეკონომიკაში სტანდარტულად გამოიყენება საზოგადოებრივი დოვლათის თამაში, რომელიც წარმოადგენს თამაშთა თეორიაში კარგად ცნობილ პატიმართა დილემის სახეობას. მრავალმა ექსპერიმენტულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ინდივიდთა თანამშრომლობა ვერ შენარჩუნდება სწორედ ოპორტუნისტული ტიპის ქცევის არსებობით.[5] ყველა ექსპერიმენტის შედეგით ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა ის, რომ ინდივიდთა მნიშვნელოვან ნაწილს გააჩნია თანამშრომლობის სურვილი, მაგრამ ოპორტუნისტი ინდივიდების არსებობის მიზეზით თანამშრომლობა ხანგრძლივად ვერ ნარჩუნდება. ამრიგად, ოპორტუნისტული ქცევა მოითხოვს რეგულირებას და თუ ასეთი მარეგულირებელი მექანიზმი არ არის, თანამშრომლობა ვერ შენარჩუნდება.

ეკონომიკურ ინდივიდთა შორის თანამშრომლობის, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების და ოპორტუნისტული რისკებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად ჩნდება სახელმწიფოს მიერ რეგულაციის საჭიროება. ფორმალურ და სახელმწიფო ინსტიტუტებს მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მრავალ უცნობ ინდივიდთა შორის თანამშრომლობის და ნდობის შენარჩუნების პროცესში. მრავალ უცნობ ეკონომიკურ ინდივიდთა შორის ურთიერთობებში სახელმწიფო

[5] Ledyard, John O. "Public Goods: A Survey of Experimental Research." In *The Handbook of Experimental Economics,* edited by J. Kagel A. E. Roth, 111–194. (Princeton: Princeton University Press, 1995); Fehr, Ernst and Simon Gachter. "Cooperation and Punishment in Public Goods Experiments." *American Economic Review* 90, no. 4 (2000a): 980-994 ; Herrmann, Benedikt , Christian Thöni and Simon Gachter. "Antisocial Punishment Across Societies." *Science* 319, (2008): 1362-1367 ; Nikiforakis, Nikos. "Punishment and Counter-Punishment in Public Good Games: Can We Really Govern Ourselves?" *Journal of Public Economics* 92, no. 1-2 (2008): 91-112.

ინსტიტუტები ასრულებენ ერთგვარი გარანტორის, მზღვეველის როლს და ხელს უწყობენ მხარეთათვის ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური შედეგის მიღწევას.[6][7] ამდენად, ეკონომიკურ ურთიერთქმედებაში ინდივიდები ეყრდნობიან არა მხოლოდ უბრალო რწმენას ერთმანეთის სანდოობის შესახებ, არამედ თანამშრომლობის დამზღვევ მექანიზმებს სახელმწიფო ინსტიტუტების სახით. ემპირიული კვლევების მიხედვით, უცნობ ინდივიდთა შორის თანამშრომლობის და ნდობის შენარჩუნების პროცესში, სახელმწიფო ინსტიტუტების სანდოობას და ეფექტიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „კოლექტივისტური" ტიპის საზოგადოების მქონე ქვეყნებში,[8][9] რომელთა რიგებს საქართველოც მიეკუთვნება.[10]

სახელმწიფო ინსტიტუტებს (სასამართლო, პოლიცია, საფინანსო მონიტორინგის და ზედამხედველობის სამსახურები და სხვ.) ოპორტუნიზმის შესამცირებლად გააჩნიათ ისეთი მექანიზმები, როგორც არის სანქციები, ჯარიმები და სხვადასხვა ტიპის შემზღუდავი რეგულაციები. გარდა ამისა, სახელმწიფო ინსტიტუტები ზემოქმედებენ ეკონომიკურ ინდივიდთა პრეფერენციებზე, მოლოდინებზე და რწმენაზე, რაც ამყარებს ეკონომიკურ გარემოში თანამშრომლობის და ნდობის დამკვიდრებას. თუ ინდივიდებს სჯერათ, რომ გადასახადების გადახდა და პროსოციალური ქცევა საყოველთაოდ გავრცელებული და მიღებული ქცევაა, ხოლო ოპორტუნიზმი ისჯება, მაშინ ისინი თანამშრომლობენ. ასეთ ეკონომიკურ გარემოს დამკვიდრება სახელმწიფოს ინტერესებშია, ვინაიდან ასეთ გარემოში სახელმწიფოს ნაკლები რესურსებით და დანახარჯებით შეუძლია ოპორტუნისტული რისკების განეიტრალება და ინდივიდთა შორის ნდობისა და თანამშრომლობის

---

[6] Irwin, Kyle. "Prosocial Behavior across Cultures: The Effects of Institutional Versus Generalized Trust." *In Altruism and Prosocial Behavior in Groups,* edited by The, S.R. and Lawler, E.J ., Vol. 26, 165-198, (Bingley: Emerald Group Publishing Limited, 2009)

[7] Yamagishi, Toshio and Midori Yamagishi. "Trust and Commitment in the United States and Japan." *Motivation and Emotion* 18, no. 2 (1994): 129-166.

[8] Andriani, Luca and Fabio Sabatini. "Trust and Prosocial Behaviour in a Process of State Capacity Building: The Case of the Palestinian Territories." *Journal of Institutional Economics* 11, no. 4 (2015): 823-846.

[9] Yamagishi, Toshio and Midori Yamagishi. "Trust and Commitment in the United States and Japan." *Motivation and Emotion* 18, no. 2 (1994): 129-166.

[10] ჰოფსტადეს შკალის მონაცემებით, რის მიხედვითაც ქვეყნები ჯგუფდება კოლექტივისტურ და ინდივიდუალისტურ საზოგადოებების მქონე ქვეყნებად, საქართველო მიეკუთვნება კოლექტივისტურ საზოგადოებას. წყარო: https://www.hofstede-insights.com/country-comparison/georgia/

დაცვა-შენარჩუნება.[11] ეს კი, პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ ოპორტუნისტი ტიპის ინდივიდებს გააჩნიათ მაღალი მოლოდინი იმისა, რომ ისინი დაისჯებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ითანამშრომლებენ. შესაბამისად, ისინი წყვეტენ ან მნიშვნელოვნად ამცირებენ ოპორტუნისტულ ქცევას, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან დასჯის მუქარის დამაჯერებლობაც საკმარისი ხდება, რომ ეკონომიკურ ინდივიდს ოპორტუნისტულ ქცევაზე ხელი ააღებინოს. შედეგად, სახელმწიფო ინსტიტუტებს სანქციების და დასჯის ხარჯიანი მექანიზმების ამოქმედება იშვიათად უწევთ და შესაბამისად, მათი ეფექტიანობა მაღალია.

სახელმწიფო ინსტიტუტების სანდოობა და ეფექტიანობის მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკურ განვითარებაში გამოვლინდა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების შემთხვევაში.[12] სახელმწიფო და ფორმალური ინტიტუტების ეფექტიანობა და მათი გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე ემპირიული კვლევებითაც დადასტურდა.[13] [14] საყურადღებო კი ის არის, რომ სანდო და ეფექტიანი სახელმწიფო ინსტიტუტები თავად წარმოადგენენ მეორე რიგის საზოგადოებრივ დოვლათს, რომლებსაც ასევე ემუქრებათ ოპორტუნიზმის საფრთხე.[15]

რა ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ ფუნქციონირებენ ეფექტიანად? როდესაც სუსტდება მათი სანდოობა და რეგულაციების აღსრულების დამაჯერებლობა? როგორ აისახება ეს ეკონომიკურ ინდივიდთა თანამშრომლობაზე და რა კვალს ტოვებს ის მათ პროსოციალურ ქცევაზე? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობას წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი. საქართველოს მაგალითზე, ექსპერიმენტული ეკონომიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით, ჩვენ ვსწავლობთ სუსტი და ძლიერ სახელწმიფო ინსტიტუტების როლს ინდივიდთა ეკონომიკურ ურთიერთქმედებაში და მათ გავლენას ინდივიდთა პროსოციალურ ქცევაზე. ჩვენი ეკონომიკური ექსპერიმენტი ეყრდნობა ჩატარებულ კომპლექსურ ექსპერიმენტულ

[11] Gintis, Herbert, Samuel Bowles, Robert Boyd and Ernst Fehr. *Moral Sentiments and Material Interests: The Foundations of Cooperation in Economic Life*. Vol. 6, (Cambridge: MIT press, 2005)

[12] Kornai, János. *Building a Trustworthy State in Post-Socialist Transition*, edited by J. Kornai. (London: Palagrive Macmillan, 2004)

[13] Guiso, Luigi, Paola Sapienza and Luigi Zingales. "Long-Term Persistence." Journal of the European Economic Association 14, no. 6 (2016): 1401-1436.

[14] Keefer, Philip and Stephen Knack. "Why Don't Poor Countries Catch Up? A Cross-National Test of an Institutional Explanation." *Economic Inquiry* 35, no. 3 (1997): 590-602.

[15] Rothstein, Bo. "Corruption and Social Trust: Why the Fish Rots from the Head Down." *Social Research* 80, no. 4 (2013): 1009-1032.

კვლევას, რომელშიც საზოგადოებრივი დოვლათის ექსპერიმენტულ თამაშში შემოღებულ იქნა ოპორტუნისტული ქცევის სხვადასხვა ალბათობის ცენტრალიზებული დასჯის მექანიზმი.[16]

საქართველო საინტერესო კვლევის ობიექტია სულ მცირე ორი ნიშნით: პირველი, იგი წარმოადგენს კოლექტივისტური ტიპის საზოგადოების მქონე ქვეყანას, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია უცნობ ინდივიდთა შორის თანამშრომლობის და ნდობის დამკვიდრება-შენარჩუნებაში. მეორე, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, რომელმაც განიცადა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სახელმწიფო ინსტიტუტების მყისიერი ნგრევა, ხოლო ახალი ინსტიტუტების შექმნა და განვითარება რთული, ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა. გარდამავალმა პერიოდმა ნათლად დაგვანახა, რომ კანონის უზენაესობა, კონკურენტული ბაზარი, კერძო საკუთრება და ძლიერი ფორმალური და სახელმწიფო ინსტიტუტები მწირი რესურსია.[17] ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე საქართველოში განხორციელდა არაერთი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმა. მნიშვნელოვანი და რადიკალური ცვლილებები გატარდა სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სტრუქტურებში. საერთაშორისო აღიარება ჰპოვა საქართველოს წარმატებამ „წვრილმან კორუფციასთან“ ბრძოლაში,[18] თუმცა „ელიტარული კორუფცია“ კვლავ მნიშვნელოვან წინააღმდეგობად რჩება. [19][20]

კვლევის მიზანები: კვლევის მიზანია ექსპერიმენტული ეკონომიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით პროსოციალურობის დონის შეფასება საქართველოში; ინდივიდთა ეკონომიკურ ურთიერთქმედებაზე ძლიერი და სუსტი სახელმწიფო

---

[16] Stagnaro, Michael, N., Antonio Arechar, A., and David Rand, G. "From Good Institutions to Generous Citizens: Top-Down Incentives to Cooperate Promote Subsequent Prosociality but Not Norm Enforcement." *Cognition* 167, (2017): 212-254.

[17] Kornai, János. “The Great Transformation of Central Eastern Europe: Success and Disappointment” in the *Institutional Change and Economic Behaviour* edited by Kornai, János, László Mátyás and Gérard Roland.1-37. (London: Palagrive Macmillan, 2008)

[18] World Bank, *Fighting Corruption in Public Services: Chronicling Georgia's Reforms*, (Washington D.C.: The World Bank, 2012)

[19] European Parliament, *European Parliament Resolution of 14 November 2018 on the Implementation of the EU Association Agreement with Georgia* (Strasbourg: The European Parliament, 2018).

[20] Papava, Vladimer. "Reforming the Post-Soviet Georgia’s Economy in 1991-2011." *GFSIS Center for Applied Economic Studies,* Research Paper, no. 03.2013 (2013): 1-152

ინსტიტუტების როლის და მათი გავლენის დადგენა, როგორც მისი უშუალო ზემოქმედების დროს, ასევე ზემოქმედების შეწყვეტის შემდგომ პერიოდში.

კვლევის ამოცანები: კვლევის მიზნიდან გამომდინარე, განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- პროსოციალური ქცევის ინტერდისციპლინარული კვლევების და ქცევითი ეკონომიკის თეორიული მოდელების მიმოხილვა და ანალიზი;
- სახელმწიფო ინსტიტუტების და ნდობის ურთიერთკავშირის შესწავლა ;
- საზოგადოებრივი დოვლათის თამაშის ეკონომიკური ექსპერიმენტის დიზაინის და კვლევითი პროექტის მომზადება;
- საზოგადოებრივი დოვლათის ექსპერიმენტული თამაშის კომპიუტერული პროგრამის დაწერა ქართულ ენაზე და ექსპერიმენტის ჩატარება;
- ინდივიდთა პროსოციალურ ქცევაზე დაკვირვება, ანალიზი და შეფასება;
- სუსტი და ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტის როლის შეფასება პროსოციალური ქცევის ფორმირების პროცესში და მათი გავლენის განსაზღვრა ინდივიდთა პროსოციალურ ქცევაზე.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანს წარმოადგენს პროსოციალური ქცევის ფენომენი და ეკონომიკური ურთიერთობების ეფექტიანობა საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების მიზნით, სუსტი და ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტის პირობებში. კვლევის ობიექტია უცნობ ინდივიდთა შორის ფართომაშტაბიანი თანამშრომლობა სოციალური დილემის, ანუ პირადი და საზოგადო ინტერესის დაპირისპირების სიტუაციაში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: კვლევა ეყრდნობა საკვლევი პრობლემის საკითხზე მოწინვე მეცნიერთა შრომების შედეგებს როგორც ეკონომიკურ, ასევე ინტერდისციპლინურ ჭრილში. საკვლევ პრობლემაზე მუშაობისას დამუშავდა სოციალური ფსიქოლოგიის მკვლევართა - დანიელ ბეტსონის, ნენსი ეიზენბერგის, ჰარი ბეილინის, დავიდ შრედერის, ვილიამ გრაციანოს, შტეფან შტრუმერის ნაშრომები, რომლებიც დაგვეხმარა პროსოციალური ქცევის და მისი ფორმების კვლევითი მნიშვნელობის და განსაზღვრების

გადმოცემაში.[21] პროსოციალური ქცევის მნიშვნელობა ეკონომიკის დისციპლინაში წარმოდგენილი იქნა ქცევითი ეკონომიკის მკვლევარების ერნს ფერის, სამუელ ბოულსის და ჰერბერტ გინტისის ნაშრომების ანალიზის დახმარებით.[22] ქცევით ეკონომიკაში პროსოციალური ქცევის და სოციალური პრეფერენციების სხვადასხვა თეორიული მიდგომები გაანალიზდა და დახარისხდა მკვლევარების - ჯეიმს ადრეონის, მათეუ რაბინის, ერნსტ ფერის, კლაუს შმიტის, კრისტინა ბიკიერის, ჯოსეფ ჰენრიხის, არმინ ფალკის, ურს ფიშბახერის, რობერტ ტრივერსის, ვილიამ ჰამილტონის, რიჩარდ ბოიდის, პეტერ რიჩერსონის, სამუელ ბოულსის, ჰერბერტ გინტისის და დევიდ რენდის თეორიული მოდელების შესწავლის შედეგად.[23] ნდობის, სახელმწიფო ინსტიტუტების და ეკონომიკაში მათი სანდოობის როლის შესახებ საკითხების შესასწავლად გაანალიზდა თანამედროვე მკვლევარების - მარგარეტ ლევის, რასელ ჰარდინის, იანოშ კორნაის, ბო როშტეინის, ჰენრი ფარელის და ჯეკ ნაითის თეორიები.[24]

---

[21] Eisenberg, Nancy and Harry Beilin. *The Development of Prosocial Behavior*. (Cambridge: Academic Press, 1982);
Batson, C. Daniel. "A History of Prosocial Behavior Research." *In Handbook of the History of Social Psychology,* edited by A. W. Kruglanski and W. Stroebe, 243-264. (New York: Psychology Press, 2012); Schroeder, David A. and William G. Graziano. *The Oxford Handbook of Prosocial Behavior*. (Oxford: Oxford University Press, 2015); Stürmer, Stefan and Mark Snyder. "The Psychology of Prosocial Behavior: Group Processes, Intergroup Relations, and Helping". Hoboken: Blackwell Publishing (2010);

[22] Gintis, Herbert, Samuel Bowles, Robert Boyd and Ernst Fehr. Moral Sentiments and Material Interests: The Foundations of Cooperation in Economic Life. Vol. 6, (Cambridge: MIT press, 2005);

[23] Andreoni, James. "Giving with Impure Altruism: Applications to Charity and Ricardian Equivalence." *Journal of Political Economy* 97, no. 6 (1989): 1447-1458; Fehr, Ernst and Klaus M Schmidt. "A Theory of Fairness, Competition, and Cooperation." *The Quarterly Journal of Economic*s 114, no. 3 (1999): 817-868; Rabin, Matthew. "Incorporating Fairness into Game Theory and Economics." *The American Economic Review*, (1993): 1281-1302; Bicchieri, Cristina. *The Grammar of Society: The Nature and Dynamics of Social Norms.* (Cambridge: Cambridge University Press, 2005); Henrich, Natalie and Joseph Patrick Henrich. *Why Humans Cooperate: A Cultural and Evolutionary Explanation*. (Oxford: Oxford University Press, 2007); Falk, Armin, Ernst Fehr and Urs Fischbacher. "Testing Theories of Fairness—Intentions Matter." *Games and Economic Behavior* 62, no. 1 (2008): 287-303; Trivers, Robert L. "The Evolution of Reciprocal Altruism." *The Quarterly Review of Biology* 46, no. 1 (1971): 35-57; Hamilton, William D. "The Genetical Evolution of Social Behaviour." *Journal of Theoretical Biology* 7, no. 1 (1964): 17-52; Boyd, Robert and Peter Richerson. "Punishment Allows the Evolution of Cooperation (or Anything Else) in Sizable Groups." *Ethology and Sociobiology* 13, no. 3 (1992): 171-195 ; Bowles, Samuel and Herbert Gintis. "The Evolution of Strong Reciprocity: Cooperation in Heterogeneous Populations." *Theoretical Population Biology* 65, no. 1 (2004): 17-28; Rand, David, Alexander Peysakhovich, Gordon T. Kraft-Todd, George E Newman, Owen Wurzbacher, Martin A. Nowak and Joshua D. Greene. "Social Heuristics Shape Intuitive Cooperation." Nature Communications 5, (2014): 36-77;

[24] Levi, Margaret. "A State of Trust." *In Trust and Governance*, edited by Valerie Braithwaite and Margaret Levi, 77-101. (New York: Russell Sage Foundation, 1998); Hardin, Russell. Trust and Trustworthiness. New York: Russell Sage Foundation, 2002; Kornai, János. Building a Trustworthy State in Post-Socialist Transition, edited by J. Kornai. (London: Palagrive Macmillan, 2004); Rothstein, Bo. "Corruption and Social Trust: Why the Fish

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მოძიებული და განხილული იქნა მნიშვნელოვანი ემპირიული კვლევები (მათ შორის ექსპერიმენტული ეკონომიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით) და მათი შედეგების ანალიზი, რომელებიც ჩატარდა როგორც ცალკეულ მკვლევართა, ასევე ეკონომიკური განითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეთგო) მიერ ბოლო ათწლეულის მანძილზე ჩატარებული ინტერდისციპლინარული ხასიათის კვლევები. [25]

ჩვენი ექსპერიმენტული კვლევა დაეყრდნო მაიკლ სტაგნაროს, ანტონიო არეჩარის და დევიდ რენდის ექსპერიმენტულ კვლევას, რომლებმაც, ექსპერიმენტული ეკონომიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით, შეისწავლეს სახელმწიფო ინსტიტუტის როლი სოციალური დილემის სიტუაციაში და მათი გავლენა ინდივიდთა პროსოციალურ ქცევაზე.[26] პროსოციალური ქცევის შედარებითი ანალიზის ჩატარების მიზნით, ჩვენ ასევე მოვახდინეთ ჩვენს მიერ მიღებული ექპერიმენტული შედეგების შედარება მკვლევარების - ბენედიქტ ჰერმანის, კრისტიან ტონის და სიმონ გახტერის მიერ 16 სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ საზოგადოებრივი დოვლათის თამაშის ეკონომიკურ ექსპერიმენტულ შედეგებთან.[27]

ინდივიდთა ეკონომიკურ ურთიერთქმედებაში პროსოციალური ქცევის, ამ ურთიერთქმედებაში სუსტი და ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტის როლის და მისი

Rots from the Head Down." *Social Research* 80, no. 4 (2013): 1009-1032; Farrell, Henry and Jack Knight. "Trust, Institutions, and Institutional Change: Industrial Districts and the Social Capital Hypothesis." *Politics & Society* 31, no. 4 (2003): 537-566;

[25] OECD and KDI. Understanding the Drivers of Trust in Government Institutions in Korea. Paris: OECD Publishing, 2018; OECD. Trust in Government, Policy Effectiveness and the Governance Agenda. Paris, 2013; Knack, Stephen and Paul Zak. "Building Trust: Public Policy, Interpersonal Trust, and Economic Development."; Yamagishi, Toshio and Midori Yamagishi. "Trust and Commitment in the United States and Japan." *Motivation and emotion* 18, no. 2 (1994): 129-166; Irwin, Kyle. "Prosocial Behavior across Cultures: The Effects of Institutional Versus Generalized Trust." In Altruism and Prosocial Behavior in Groups, edited by Thye, S.R. and Lawler, E.J ., Vol. 26, 165-198, (Bingley: Emerald Group Publishing Limited, 2009); Andriani, Luca and Fabio Sabatini. "Trust and Prosocial Behaviour in a Process of State Capacity Building: The Case of the Palestinian Territories." *Journal of Institutional Economics* 11, no. 4 (2015): 823-846; Guiso, Luigi, Paola Sapienza and Luigi Zingales. "Long-Term Persistence." *Journal of the European Economic Association* 14, no. 6 (2016): 1401-1436; Keefer, Philip and Stephen Knack. "Why Don't Poor Countries Catch Up? A Cross-National Test of an Institutional Explanation." *Economic Inquiry* 35, no. 3 (1997): 590-602;

[26] Stagnaro, Michael, N., Antonio Arechar, A., and David Rand, G. "From Good Institutions to Generous Citizens: Top-Down Incentives to Cooperate Promote Subsequent Prosociality but Not Norm Enforcement." Cognition 167, (2017): 212-254.

[27] Herrmann, Benedikt , Christian Thöni and Simon Gachter. "Antisocial Punishment Across Societies." *Science* 319, (2008): 1362-1367.

პროსოციალურ ქცევაზე გავლენის შესასწავლად გამოყენებულია ინდუქციური, დედუქციური, შედარებითი, აბსტრაქტულ-ლოგიკური, სინთეზური, ექსპერიმენტული და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. ძირითადი ანალიზისთვის ნაშრომში გამოყენებულია ექსპერიმენტული ეკონომიკის მეთოდოლოგია. კერძოდ, საზოგადოებრივი დოვლათის თამაშის ექსპერიმენტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ექსპერიმენტულ ეკონომიკაში სოციალური დილემის პირობებში პროსოციალური ქცევის შესწავლის მიზნით. კვლევის პროცესში შემუშავდა საზოგადოებრივი დოვლათის თამაშის ექსპერიმენტის დიზაინი და გაკეთდა ახალი მოდიფიკაციები, რაც სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს.

ვებ პლატფორმაზე ბაზირებული კომპიუტერული პროგრამის LIONESS-ის საშუალებით მოხდა კომპიუტერული პროგრამის დაწერა და საზოგადოებრივი დოვლათის ექსპერიმენტული თამაშის მომზადება ქართულ ენაზე.[28] ექსპერიმენტული კვლევით მიღებული მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა Microsoft Office Excel-ის სტატისტიკური ანალიზის პაკეტის საშუალებით. საზოგადოებრივი დოვლათის თამაშის ექსპერიმენტი ჩატარდა საქართველოში, დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, რაშიც მონაწილეობდა ჯამში 186მონაწილე. მონაწილეები ძირითადად იყვნენ სტუდენტები, მათი საშუალო ასაკი იყო 24,6 წელს, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლები 58,4%.

მონაწილეები დარეგისტრირდნენ ონლაინ რეჟიმში Google Forms–ის ფორმატის კითხვარის და მონაცემების შევსების საშუალებით. ჩვენ თავიდან ავიცილეთ სტუდენტების განმეორებითი მონაწილეობა ექსპერიმენტებში პირადობის მოწმობების და კომპიუტერის IP მისამართების გადამოწმების საშუალებით. მონაწილეებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მათი ჯგუფის წევრების ვინაობის შესახებ.

ექსპერიმენტი ჩატარდა 2020 წლის შემოდგომაზე და შედგებოდა 14 სესიისგან. საკონტროლო ჯგუფში 10 რაუნდიანი სტანდარტული საზოგადოებრივი დოვლათის თამაშის ექსპერიმენტის ხანგრძლივობა იყო 10-20 წუთი და მონაწილეებმა საშუალოდ 13.7 ლარი (იმ დროისთვის 4.2 აშშ დოლარი) გამოიმუშავეს. დაკვირვების

[28] Arechar, Antonio A, Simon Gächter and Lucas Molleman. "Conducting Interactive Experiments Online." *Experimental Economics* 21, no. 1 (2018): 99-131.

N2 და N3 ჯგუფის ექსპერიმენტი შედგებოდა ოცი რაუნდისგან, სადაც შემოღებულ იქნა სუსტი და ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტი და სესიის ხანგრძლივობა იყო 30-40 წუთი, რა დროსაც მონაწილეებმა საშუალოდ გამოიმუშავეს 20.7 ლარი (იმ დროისთვის 6.4 აშშ დოლარი).[29]

კვლევის მეცნიერული სიახლე: კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სიახლეები:

- წინამდებარე ნაშრომი პროსოციალური ქცევის შესახებ წარმოადგენს ქართულ ენაზე შესრულებულ პირველ ეკონომიკურ ექსპერიმენტულ კვლევას საქართველოს მაგალითზე;
- საზოგადოებრივი დოვლათის ექსპერიმენტულ თამაშში ცენტრალიზებული დასჯის მაღალი და დაბალი ალბათობის მექანიზმის გამოყენებით შემუშავებულ ექსპერიმენტულ კვლევით დიზაინს ანალოგი არ გააჩნია და ჩვენი ექსპერიმენტული დიზაინით ჩატარებული კვლევა ამ თვალსაზრისით სიახლეა;
- ექსპერიმენტის შედეგად საქართველოს მაგალითზე დაფიქსირდა პროსოციალურობის სტაბილურად მაღალი დონე, რაც იშვიათად ფიქსირდება ანალოგიურ ექსპერიმენტებში;
- ჩვენი ექსპერიმენტული კვლევის შედეგები არ ადასტურებს დ. რანდის და მისი თანაავტორების სოციალური ევრისტიკის „გადადინებაზე დაფუძნებულ“ ეკონომიკურ თეორიას. კერძოდ, გარკვეული პერიოდით, ინდივიდთა პროსოციალურობის გარეგანი სტიმულირებით მათი ზემოქმედებას შეწყვეტის შემდგომ, ინდივიდთა პროსოციალურობა არ იზრდება.
- ჩვენი ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით გამოვლინდა ექსპერიმენტული ეკონომიკის ლიტერატურაში ცნობილი „განდევნის ეფექტი“. კერძოდ, როდესაც ხდება ინდივიდთა პროსოციალურობის სტიმულირება გარე ზემოქმედების საშუალებით, რიგ შემთხვევებში იგი „განდევნის“ ინდივიდთა პროსოციალური ქცევის შინაგან მოტივაციას.

[29] შენიშვნა: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მე-2 კვარტლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში საშუალო საათობრივი ანაზღაურება წარმოადგენდა 8.5 ლარს (დაახლოებით 2.6 აშშ დოლარს), წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ექსპერიმენტული კვლევის შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნას ქცევითი ეკონომიკის, ექსპერიმენტული ეკონომიკის, პოლიტიკური ეკონომიის სალექციო კურსებში და შესაბამისი პროფილის სასწავლო პროგრამაში.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგები შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო ინსტიტუტებმა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ასევე კერძო და საჯარო ორგანიზაციების მართვა-გამგეობის პროცესში.

ნაშრომის აპრობაცია: დისერტაცია განხილულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრაზე (27.05.2021; ოქმი N3).

ნაშრომის მოცულობა: სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე აკრეფილ 171 გვერდს და შედგება აბსტრაქტის, შესავლის, ოთხი თავის, თვრამეტი ქვეთავის, დასკვნის და რეკომენდაციების, 179 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალის და დანართებისაგან (10 გვერდი).

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

აბსტრაქტი

შესავალი

თავი 1. პროსოციალური ქცევა და ინტერდისციპლინარული კვლევითი მოდგომები ქცევით ეკონომიკაში

1.1. პროსოციალური ქცევა და მისი ფორმები

1.2 პროსოციალური ქცევის მნიშვნელობა ეკონომიკაში

1.3 თამაშთა თეორია ინტერდისციპლინარულ კვლევებში და ეკონომიკური ექსპერიმენტები

თავი 2. სოციალურ პრეფერენციებზე დაფუძნებული თეორიული მიდგომები ქცევით ეკონომიკაში

2.1 პროქსიმალურ მიდგომებზე დაფუძნებული ეკონომიკური თეორიები

2.2 დასაბამისეულ მიდგომებზე დაფუძნებული თეორიული მოდელები

2.3 ინსტიტუციურ მექანიზმებზე დაფუძნებული თეორიული მიდგომები

თავი 3. სახელმწიფო ინსტიტუტების გავლენა ეკონომიკურ ინდივიდთა პროსოციალური ქცევის ფორმირებაზე

3.1 სახელმწიფო ინსტიტუტების მნიშვნელობა ეკონომიკურ ურთიერთობებში

3.2. ნდობის მნიშვნელობა ეკონომიკურ ურთიერთობებში

3.3 ემპირიული კვლევები ნდობის და სახელმწიფო ინსტიტუტების ურთიერთკავშირის შესახებ

3.4 სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობის და ნდობის ურთიერთკავშირი

თავი 4. თანამშრომლობის, როგორც პროსოციალური ქცევის ექსპერიმენტული კვლევა საქართველოს მაგალითზე

4.1 საზოგადოებრივი დოვლათის თამაშის ექსპერიმენტული კვლევები

4.2 ექსპერიმენტის დიზაინი

4.2.1 მეთოდი

4.2.2 მონაწილეები

4.2.3 გამომუშავების მექანიზმი

4.2.4 პარამეტრები და ინფორმაციული პირობები

4.3 ექსპერიმენტის შედეგები

4.3.1 ქცევა ინდივიდუალურ დონეზე

დასკვნები და რეკომენდაციები

დანართები

დანართი N1: ექსპერიმენტის ინსტრუქციები და კომპიუტერის ეკრანის ვიზუალური მაგალითები

გამოყენებული ლიტერატურა

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თავი 1. პროსოციალური ქცევა და ინტერდისციპლინარული კვლევითი მოდგომები ქცევით ეკონომიკაში

ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილია პროსოციალური ქცევის ფორმები და პროსოციალური ქცევის მნიშვნელობა ინტერდისციპლინარული და ქცევითი ეკონომიკის კვლევებში. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განმარტებების და შეხედულებების ანალიზის საფუძველზე მოცემულია პროსოციალური ქცევის ცნების განმარტება. განხილულია თამაშთა თეორიის ტაქსონომიური დანიშნულებით გამოყენება ინტერდისციპლინარულ და ექსპერიმენტული ეკონომიკის კვლევებში. ნაჩვენებია პროსოციალური ქცევის ეკონომიკური მნიშვნელობა. მოყვანილია პროსოციალური ქცევის და სოციალური პრეფერენციების არსებობის დამადასტურებელი ექსპერიმენტული კვლევის შედეგები. აღნიშნული თავი ნათელყოფს პროსოციალური ქცევის და სოციალური პრეფერენციების მნიშვნელობას და აქტუალურობას ქცევითი ეკონომიკის კვლევებში.

თავი 2. სოციალურ პრეფერენციებზე დაფუძნებული თეორიული მიდგომები ქცევით ეკონომიკაში

ნაშრომის მეორე თავში გაანალიზებულია სოციალურ პრეფერენციების ძირითადი თეორიული მოდელები და მიდგომები ქცევით ეკონომიკაში. ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე მოხდა ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე შემუშავებული სოციალური პრეფერენციების თეორიების დაჯგუფება მათი თეორიული მიდგომების მიხედვით. გამოიყო სამი თეორიული მიდგომა:

1) პროქსიმალურ მიდგომებზე დაფუძნებული თეორიული მოდგომები;
2) დასაბამისეულ მიდგომებზე დაფუძნებული თეორიული მოდგომები;
3) ინსტიტუციურ მექანიზმებზე დაფუძნებული თეორიული მიდგომები.

თითეული თეორიული მიმართულების ფარგლებში განხილულია ძირითადი თეორიული მოდელების კონცეფციები და ასპექტები. გაანალიზებულია თეორიული მოდელების სიახლეები და ასევე, მათი ნაკლოვანებები.

სოციალური პრეფერენციების თეორიის სამივე მიმდინარეობა ცდილობს პასუხი მოუძებნოს და ნათელი მოჰფინოს უცნობ ადამიანთა შორის

ფართომასშტაბიან თანამშრომლობას და პროსოციალურ ქცევას. მნიშვნელოვანი თეორიული წინსვლები მოჰყვა ექსპერიმენტული კვლევებით დაგროვილ ემპირიულ შედეგებს. თუმცა, ემპირიულმა და ექსპერიმენტულმა კვლევებმა მკვლევართა წინაშე მრავალი კითხვა გააჩინა და ერთი უნივერსალური თეორიული მოდელის შექმნა ჯერ კიდევ შორეულ ამოცანად შეიძლება დაისახოს. მიმდინარე თავის ანალიზით გამოიკვეთა, რომ პროსოციალური ქცევის ეკონომიკურ კვლევებში ინდივიდთა შორის თანამშრომლობა დიდწილად შეუსწავლელ ფენომენად და თავსატეხად რჩება.

აღნიშნული თეორიული მიდგომების ანალიზისას, განხილულია პროსოციალური ქცევის სოციალური ევრისტიკის „გადადინებაზე დაფუძნებული“ თეორიული მოდელი, რომლის ტესტირებაც განვახორციელეთ ექსპერიმენტული ეკონომიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით და შედეგები ასახულია ნაშრომის მე-4 თავში.

თავი 3. სახელმწიფო ინსტიტუტების გავლენა ეკონომიკურ ინდივიდთა პროსოციალური ქცევის ფორმირებაზე

ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება ნდობის და სახელმწიფო ინსტიტუტების სანდოობის საკითხს და მნიშვნელობას ეკონომიკურ ურთიერთობებში. კერძოდ, შესწავლილი და გაანალიზებულია ამ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა და თეორიული მიდგომები. წარმოდგენილია სახელმწიფო ინსტიტუტების როლის მნიშვნელობა ინდივიდთა შორის ეკონომიკურ ურთიერთქმედებაში და თანამშრომლობაში. წარმოჩენილია სახელმწიფო ინსტიტუტების სანდოობის და ეფექტიანობის მნიშვნელობა ინდივიდთა შორის ნდობის და თანამშრომლობის გაძლიერებასა და შენარჩუნებაში.

აღნიშნულ თავში განხილულია სახელმწიფო ინსტიტუტებსა და ეკონომიკურ ინდივიდთა ნდობას შორის ურთიერთკავშირის შესახებ ჩატარებული ემპირიული კვლევები და თეორიული მიდგომები. სამეცნიერო ლიტერატურის და ემპირიული კვლევების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებს გადამწყვეტი როლი ეკისრებათ მრავალ უცნობ ინდივიდთა შორის თანამშრომლობის და ნდობის ფორმირება-შენარჩუნების პროცესში. სახელმწიფო ინსტიტუტები ასრულებენ ერთგვარი გარანტორის, მზღვეველის როლს და

ეხმარებიან უცნობ ინდივიდებს ერთმანეთის შესახებ მწირი ინფორმაციით გამოწვეული წინააღმდეგობა გადალახონ და ურთიერთსასარგებლო შედეგს მიაღწიონ. საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების და მიწოდების ეფექტიანობის საკითხის გადაჭრა ეფექტიანი სახელმწიფო ინსტიტუტების საშუალებით ხდება. სწორედ, სოციალური დილემის გადაუჭრელობით არის გამართლებული სახელმწიფოს ჩარევა და ეკონომიკური ურთიერთობების დაცვა ოპორტუნისტული ქცევის საფრთხეებისგან, რაზეც არაერთი შორეული თუ ახლო წარსულის ცნობილი ეკონომისტი და მოაზროვნე ხაზგასმით აღნიშნავს.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგად, წარმოჩინდა ინსტიტუციური ნდობის ანუ სახელმწიფო ინსტიტუტების სანდოობის როლი და მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა გარდამავალი ეკონომიკების და კოლექტივისტური ტიპის საზოგადოების მქონე ქვეყნებისათვის. კერძოდ, სახელმწიფო ინსტიტუტებს კიდევ უფრო მეტი ტვირთი აკისრიათ კოლექტივისტური ტიპის საზოგადოების მქონე ქვეყნებში, ვინაიდან კოლექტივისტურ საზოგადოებაში უცნობი ინდივიდები ურთიერთქმედებისას სწორედ სახელმწიფო ინსტიტუტებს ეყრდნობიან.

ამასთანავე, ჩვენი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების სიძლიერე, რაც პირველ რიგში გულისხმობს კომპეტენტურობას და პატიოსნებას, ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია ნდობის და თანამშრომლობის ფორმირების პროცესში. ამდენად, პატიოსანი და კომპეტენტური ხელისუფლება წარმოადგენს „მეორე რანგის“ საზოგადოებრივ დოვლათს, რომელიც თავად იმყოფება ოპორტუნისტული ქცევის რისკის ქვეშ.

თავი 4. თანამშრომლობის, როგორც პროსოციალური ქცევის ექსპერიმენტული კვლევა საქართველოს მაგალითზე

ნაშრომის მეოთხე თავში წარმოდგენილია ექსპერიმენტული ეკონომიკური კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოკვლეულია სუსტი და ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების როლი ინდივიდთა ეკონომიკურ ურთიერთქმედებაში და მათი გავლენა ინდივიდთა პროსოციალურ ქცევაზე. კერძოდ, საზოგადოებრივი დოვლათის თამაში შემოღებულია ოპორტუნისტული ქცევის დაბალი და მაღალი

ალბათობის ცენტრალიზებული დასჯის მექანიზმი; აღწერილია საზოგადოებრივი დოვლათის თამაშის რამდენიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ექსპერიმენტის ძირითადი შედეგი; დეტალურად აღწერილია გამოყენებული ექსპერიმენტული კვლევის მეთოდოლოგია და დიზაინი; წარმოდგენილია ექსპრიმენტული დიზაინის ახალი მოდიფიკაციები და სიახლეები; მოცემულია ექსპერიმენტული კვლევის მონაცემების სტატისტიკური ანალიზი და მათი შედეგები; მოყვანილია სოციალური ევრისტიკის „გადადინებაზე დაფუძნებული“ თეორიის ექსპერიმენტული ტესტირების შედეგები; წარმოდგენილია ასევე პროსოციალუროების დონის შედარებითი ანალიზის შედეგები 16 სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული ანალოგიური ექსპერიმენტის შედეგებთან. ასევე, გაანალიზირებული და გამოკვლეულია ქცევა ინდივიდუალურ დონეზე და შესწავლილია დაკვირვების ჯგუფებს შორის აღმოჩენილი განსხვავებები.

ჩვენი ექსპერიმენტული კვლევა შედგებოდა დაკვირვების სამი ჯგუფისგან :

1. საკონტროლო ჯგუფი N1, სადაც ოთხი მონაწილისგან შემდგარი ჯგუფი ათი რაუნდის განმავლობაში თამაშობს სტანდარტულ საზოგადოებრივი დოვლათის თამაშს.

2. დაკვირვების ჯგუფი N2 თამაშობდა 2 ფაზიან საზოგადოებრივი დოვლათის თამაშს და თითოეული ფაზა შედგებოდა 10 რაუნდისგან. ფაზა 1-ში შემოღებული იქნა ინსპექტირების და დაჯარიმების მექანიზმი, შემდეგი ალბათობით ინსპექტირება - 90%-იანი ალბათობა, დაჯარიმება - 90%-იანი ალბათობა. მომდევნო ფაზა 2-ში, ინსპექტირების და დაჯარიმების მექანიზმი უქმდებოდა და მონაწილეები ათი რაუნდის განმავლობაში თამაშობდნენ სტანდარტულ საზოგადოებრივი დოვლათის თამაშს.

3. დაკვირვების ჯგუფი N3 ასევე თამაშობდა 2 ფაზიან საზოგადოებრივი დოვლათის თამაშს და თითოეული ფაზა შედგებოდა ათი რაუნდისგან. ფაზა 1-ში შემოღებული იქნა ინსპექტირების და დაჯარიმების მექანიზმი, შემდეგი ალბათობით ინსპექტირება - 90%-იანი ალბათობა, დაჯარიმება - 10%-იანი ალბათობა. მომდევნო ფაზა 2-ში, ინსპექტირების და დაჯარიმების მექანიზმი

უქმდებოდა და მონაწილეები ათი რაუნდის განმავლობაში თამაშობდნენ სტანდარტულ საზოგადოებრივი დოვლათის თამაშს.

ინსპექტირების და დაჯარიმების მექანიზმი მოქმედებს შემდეგნაირად: ყოველ რაუნდში ხდებოდა მონაწილეთა კონტრიბუციების ინსპექტირება მოცემული ალბათობით და თუ შემოწმდებოდა, მხოლოდ ამის შემდგომ ჯარიმდებოდა მონაწილე დადგენილი ალბათობით. ამრიგად, თუ მონაწილე არ შემოწმდებოდა, იგი ვერც დაჯარიმდებოდა. ჯარიმა ეხებოდა იმ მონაწილეს, ვინც მის ხელთ არსებულ ქულას (ჩვენს შემთხვევაში 20 ქულას) სრულად არ გაიღებდა მისი ჯგუფის საერთო საქმისათვის, ხოლო ის, ვინც სრულად გაიღებდა მის ხელთ არსებულ ქულას მისი ჯგუფის საერთო საქმისათვის, ის არ ჯარიმდებოდა.

ჩატარებული ეკონომიკური ექსპერიმენტის კვლევის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი ძირითადი შედეგები:

დიაგრამა N1: საშუალო კონტრიბუციები სამივე დაკვირვების ჯგუფში



ჩვენი ექსპერიმენტით დადგინდა, რომ სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტის პირობებში (დაკვირვების ჯუფი N3) თანამშრომლობის მაღალი დონე ვერ შენარჩუნდება და ერთობლივი კეთილდღეობის წონასწორობის წერტილი მიუღწეველი რჩება (იხ. დიაგრამა N1). ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტის

პირობებში (დაკვირვების ჯუფი N2) კი პირიქით, თანამშრომლობის მაღალი დონე შენარჩუნდება და მნიშვნელოვნად უახლოვდება ერთობლივი კეთილდღეობის წონასწორობის წერტილს. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა სახელმწიფო ინსტიტუტი ძლიერია თუ სუსტი, მათი ზემოქმედების გაუქმების შემდგომ მიღებული თანამშრომლობის დონე გაცილებით დაბალია, ვიდრე ასეთი გამოცდილების გარეშე მიღებული თანამშრომლობის დონე.

ჩვენი ექსპერიმენტით არ დადასტურდა პროსოციალური ქცევის სოციალური ევრისტიკის „გადადინებაზე დაფუძნებული“ ეკონომიკური თეორია. კერძოდ, ოპორტუნისტული ქცევის ცენტრალიზებული დასჯის მექანიზმის სტიმულირების შედეგად, მისი შეწყვეტის შემდგომ არ ფიქსირდება პროსოციალური ქცევის მატება. უფრო მეტიც, ჩვენი ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით გამომჟღავნდა, რომ - როგორც ძლიერი, ასევე სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტი, როდესაც გარკვეული პერიოდის შემდგომ წყვეტს ფუნქციონირებას, მათი ზეგავლენის შედეგად ვღებულობთ პროსოციალურობის გაცილებით დაბალ დონეს, ვიდრე ეს ფიქსირდება ასეთი სახელმწიფო ინსტიტუტის ზეგავლენის გამოცდილების არარსებობის პირობებში. ამრიგად, გარე სტიმულირების შედეგად ადგილი აქვს ინდივიდთა პროსოციალურობის შინაგანი სტიმულის „განდევნის ეფექტს“.

გარდა ამისა, საკონტროლო ჯგუფის ექსპერიმენტში ჩვენი ყურადღება მიიპყრო კონტრიბუციების საკმაოდ მაღალმა დონემ, რაც, როგორც წესი, ანალოგიურ საზოგადოებრივი დოვლათის ექსპერიმენტში იშვიათად ფიქსირდება. ვინაიდან ჩვენი ექსპერიმენტის დიზაინი მეთოდოლოგიურად იძლეოდა საშუალებას შეგვედარებინა ანალოგიური კულტურათაშორისი ტიპის ექსპერიმენტებისათვის, ჩვენ მოვიძიეთ ბ. ჰერმანის, კ. ტჰონის და ს. გახტერის ცნობილი ექსპერიმენტული კვლევის მონაცემები.[30] ჩვენ ავიღეთ მათი სტანდარტული საზოგადოებრივი დოვლათის თამაშის ექსპერიმენტის შედეგები, რომელიც მიღებულ იქნა 16 სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული ექსპერიმენტებიდან და შევადარეთ ჩვენს საკონტროლო ჯგუფს. შედარების შედეგად მიღებული მონაცემები ასახულია დიაგრამა N2-ში.

[30] Herrmann, Benedikt , Christian Thöni and Simon Gachter. "Antisocial Punishment Across Societies." *Science* 319, (2008): 1362-1367.

დიაგრამა N2: თანამშრომლობის მონაცემები საქართველოში და 16 სხვა ქვეყანაში



წყარო: ჩვენი ექსპერიმენტის მონაცემები და ბ.ჰერმანის, კ.ტჰონის და ს.გახტერის კვლევის მონაცემები, https://datadryad.org/stash/dataset/doi:10.5061/dryad.87301

ჩვენი ექსპერიმენტის შედეგების საფუძველზე გამოვლინდა პროსოციალურობის მნიშვნელოვნად მაღალი და საკმაოდ სტაბილური დონე საქართველოს მაგალითზე. 16 ქვეყანაში ანალოგიური ექსპერიმენტების შედეგად მიღებულ შედეგებს შორის იგი ყველაზე მაღალი აღმოჩნდა.

დასკვნები და რეკომენდაციები

- ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგების თანახმად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძლიერი თუ სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტის გაუქმების შედეგად, ვღებულობთ თანამშრომლობის უფრო დაბალ დონეს, ვიდრე მისი გამოცდილების გარეშე პირობების შემთხვევაში. აღნიშნული შედეგი მიუთითებს, რომ ოპორტუნისტული ქცევის ცენტრალიზებული დასჯის მექანიზმის გამოცდილება, მისი გაუქმების შემდგომ, მემკვიდრეობად ტოვებს ნაკლებ ალტრუისტული ტიპის ქცევას და მეტ ოპორტუნისტული ტიპის ქცევას. ხატოვნად თუ ვიტყვით, ცენტრალიზებული დასჯის მექანიზმი ატარებს „ორლესული მახვილის“ ეფექტს: „ზემოდან ქვემოთ“ ეფექტიანი კონტროლის

დაწესებით მას შეუძლია უზრუნველყოს ინდივიდთა შორის თანამშრომლობა, მაგრამ ამავდროულად იგი განდევნის ინდივიდთა თანამშრომლობის შინაგან მოტივაციას.

- საქართველოში გამოიკვეთა პროსოციალური ქცევის მაღალი დონე, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ ეფექტიანი ეკონომიური ურთიერთქმედების არსებობს მნიშვნელოვანი წინაპირობა.

- ჩვენი ექსპერიმენტული კვლევის შედეგები თანხვედრაშია იმ ემპირიულ კვლევების შედეგებთან, რომლებიც აღნიშნავენ „კოლექტივისტურ“ საზოგადოებაში ინსტიტუციური ნდობის მექანიზმის განსაკუთრებულ როლს უცნობ ინდივიდთა შორის თანამშრომლობის შენარჩუნების პროცესში. კოლექტივისტურ საზოგადოებებში მრავალ უცნობ ინდივიდთა შორის თანამშრომლობა სწორედ სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირების საშუალებით ყალიბდება და შენარჩუნდება. თუ სახელმწიფო ინსტიტუტები არიან კორუმპირებულნი და ნაკლებ ეფექტიანად ფუნქციონირებენ, მაშინ სათანადოდ ვერ ხდება ვერც უცნობ ეკონომიკურ ინდივიდთა შორის ფართომაშტაბიანი თანამშრომლობა და ურთიერთ სასარგებლო შედეგების მიღწევა. ამრიგად, კოლექტივისტურ საზოგადოებაში უცნობ ინდივიდთა შორის მაღალეფექტიანი თანამშრომლობა რომ შედგეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო ინსტიტუტების სანდოობა და მიღწეულ იქნას მათი ეფექტიანი ფუნქციონირება. ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტის შესუსტება ან მათი სრულიად გაუქმება მკვეთრად უარყოფითი შედეგების მომტანია ეკონომიკური ურთიერთობებისთვის და საზოგადოების ერთობლივი კეთილდღეობისათვის.

- საქართველოსთვის, გარდა იმისა, რომ იგი კოლექტივისტური საზოგადოების ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება, სახელმწიფო ინსტიტუტების როლი მნიშვნელოვანია მისი, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის. გარდამავალი ეკონომიკის კოლექტივისტურ საზოგადოებაში თუ სახელმწიფო ინსტიტუტები ეფექტიანად ვერ ფუნქციონირებენ, მათი სანდოობა დაბალია და ამავდროულად საბაზრო ეკონომიკის ზეგავლენით სუსტდება არაფორმალური

ინსტიტუტებიც, საბოლოოდ საბაზრო ეკონომიკის განვითარება ფერხდება. ამრიგად, კოლექტივისტური საზოგადოების და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები შესაძლოა აღმოჩნდნენ და დარჩნენ ისეთ მდგომარეობაში, რა დროსაც ფორმალური და სახელმწიფო ინსტიტუტები ჯერ არ არიან საკმარისად ძლიერი და ამავდროულად, საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტებიც ასევე დასუსტებული და დაკნინებულია. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსვლის ქმედით საშუალებად გვევლინება პირველ რიგში ფორმალური და სახელმწიფო ინსტიტუტების სანდოობის და ეფექტიანობის გაზრდა.

ჩვენი ექსპერიმენტული კვლევით მიღებულ შედეგებზე და მათი ანალიზის შედეგად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდგომი სახის რეკომენდაციები:

- კოლექტივისტური ტიპის საზოგადოებებში უცნობ ინდივიდთა შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში პროსოციალური ქცევის გაძლიერებასა და დამკვიდრებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფორმალური და სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობას და მათ სანდოობას. ამდენად, სასურველია სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობის გაძლიერება, რითიც ძლიერდება პროსოციალური ქცევა, ეკონომიკურ ურთიერთობებში ხდება ნდობისა და თანამშრომლობის დამკვიდრება უცნობ ინდივიდთა შორის, რაც შემდგომ საბაზრო ეკონომიკის სწრაფი განვითარების და ერთობლივი კეთილდღეობის მიღწევის წინაპირობად გვევლინება.
- სახელმწიფო ინსტიტუტებმა კარგად უნდა შეარჩიონ ინდივიდთა შორის თანამშრომლობის და ნდობის გარე სტიმულირების მექანიზმი და ფორმა, ვინაიდან პროსოციალურობის გაძლიერების ნაცვლად შესაძლოა მიიღონ საპირისპირო შედეგი ინდივიდთა შინაგანი პროსოციალური ქცევის მოტივაციის „განდევნის ეფექტის“ სახით.
- სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა იზრუნონ მათ რეპუტაციაზე და სანდოობაზე, ვინაიდან მათი შელახვა ამცირებს მათი ფუნქციონირების ეფექტიანობას.

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები:

1. Mekvabishvili R., Can Formal Institutions Lead to the Spillover Effect of Cooperation? Theoretical Economics Letters, No.11 (2021), 186-193
2. Mekvabishvili R., Georgia Leads in Prosociality: Comparison to Cross-Cultural Economic Experiment, Economics and Business, Vol. XIII, No.1 (2021), 104-114
3. მექვაბიშვილი რ., ალტრუიზმის, პროსოციალური ქმედებისა და ქრისტიანული სიყვარულის მნიშვნელობა ქცევითი ეკონომიკის კვლევებში, ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი XII, No.3 (2020): 138-155